საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 74

01 02 2018წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის /პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, კახაბერ ერაძის, 2018 წლის 23 იანვრის №59450 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის პირველი თებერვლიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:

2.1. პროფესიული ან აკადემიური უმაღლესი განათლება;

2.2. დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით, შემდეგი მიმართულებებით:

2.2.1 ადრეული განათლება (აღმზრდელი);

2.2.2.ციფრული ხელოვნება (ანიმაცია, გრაფიკული და ინდუსტრიული დიზაინი);

2.2.3.გამოყენებითი ხელოვნება (კერამიკა, ხის, ქვის, ლითონის მხატვრული დამუშავება);

2.2.4.ფლორისტიკა;

2.2.5.საიუველირო საქმე, მინანქარი;

2.2.6.რეპორტიორობა და წამყვანობა ჟურნალისტიკაში;

2.2.7.შრომის დაცვა, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები;

2.2.8.ელექტრონიკა;
2.2.9.მექატრონიკა;
2.2.10.ჰაერის კონდიცირება;
2.2.11.ელექტრონულ მოწყობილობათა ექსპლოატაცია;
2.2.12.ტელეკომუნიკაციები;
2.2.13.შედუღება;
2.2.14.სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება;
2.2.15.ფეხსაცმლისა და ტყავის წარმოება;
2.2.16.ტოპოგრაფია;
2.2.17.წყალმომარაგება და წყალარინება;
2.2.18.მშენებლობა (მ.შ. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა);
2.2.19.სატყეო საქმე;
2.2.20.მეთევზეობა;
2.2.21.სასტუმრო საქმე;
2.2.22.სარესტორნო საქმე;
2.2.23.კულინარია;
2.2.24.ტურიზმი;
2.2.25.მასაჟი და რეაბილიტაცია;
2.2.26.კვების პროდუქტების წარმოება.
2.3. პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:
2.3.1.„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2.3.2.„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2.3.3.„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
2.3.4.„საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
2.3.5.„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანება;
2.3.6.„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;
2.4. კომპიუტერული უნარების ქონა.
2.5. გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი.
2.6. მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.
3. სასურველია კანდიდატს ჰქონდეს:
3.1. პროფესიულ სტანდარტებზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე/მოდულებზე მუშაობის ან მათი განხორციელების გამოცდილება;
3.2. უცხო ენის (ინგლისური ან გერმანული) ცოდნა.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ელექტრონული ფოსტის მისამართზე - jobs@eqe.ge - აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:
4.1. განცხადება;
4.1.1. ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
4.1.2. სამოტივაციო წერილი;

4.1.3. კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (დიპლომი და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

4.1.4. 2 (ორი) რეკომენდატორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

5. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

6. კონკურსანტმა შესაბამის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება (კონკრეტული მიმართულების მითითებით).

7. საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს კონკურსანტთა მიერ განცხადების წარმოდგენის დასრულების თარიღიდან სამი თვის ვადაში.

8. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდების - www.jobs.ge და www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

9. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე